სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ
მეცნიერებებში

№2, ივლისი, 2017

Student Journal of Social Sciences

მულტიკულტურალიზმი და დამოკიდებულება "უცხოს" მიმართ (ქართულ საზოგადოებაში)

ანა გონაშვილი

სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელფოსტა: ana.gonashvili96.gmail.com

მარიკა ჩაფიძე
სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელფოსტა: marika.chapidze@mail.ru

აბსტრაქტი

გლობალიზაციის პროცესმა მულტიკულტურალიზმის თემა აქტუალური გახადა. დღესდღეობით თანამედროვე სახელმწიფოთა დიდი ნაწილი კულტურულად მრავალფეროვანია, თუმცა, ხშირად კულტურული ერთობის იდეა უპირისპირდება კულტურულ მრავალფეროვნებას.
მულტიკულტურალიზმი ხშირად პრობლემური საკითხია ქვეყნებში, რადგან ხალხის უმეტესობა გაუცხოებულია სხვა ეთნიკური ჯგუფის, რასობრივი განსხვავებულობის თუ გენდერული ჭრილის მიმართ, რაც მიმღეობა არ მიმღეობას განსაზღვრავს. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ სახელმწიფოში განსხვავებული კულტურის არსებობა უცხოთა მიმართ მიმღებლობის პოსტულატი სულაც არ არის. ხშირად უმრავლესობა და უმცირესობა არ აღიქმება როგორც თანასწორი. ასეთი საზოგადოება ხასიათდება ეთნოცენტრიზმით. ჩვენი სტატიის მიზანია წარმოვაჩინოთ საქართველოში გამოკითხული მოსახლეობის დამოკიდებულებები და მიმღებლობის დონე ეთნიკური, რელიგიური და სხვა უმცირესობათა მიმართ.
სტატიაში დაწვრილებით არის განხილული მულტიკულტურული ღირებულებები, ეთნოცენტრიზმი, მის განწობები და ქცევები. სტატია ეფუძნება კვლევას, რომლის ფარგლებში განხორციელდება მეორადი მონაცემების ანალიზი და ლიტერატურის მიმოხილვა.

საკვანძო სიტყვები: მულტიკულტურალიზმი, ეთნოცენტრიზმი, კულტურული რელატივიზმი, ეთნორელატიური ინტერკულტურული სენსიტიურობა, ინტერკულტურული კომპეტენტურობა.

შესავალი

ოცდამეერთე საუკუნეში მულტიკულტურალიზმის თემა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. მულტიკულტურალიზმი გულისხმობს სოციალურ ინტერაქციას სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წევრებს შორის და მიესალმება ყველა ჯგუფის მონაწილეობასა და წვლილს უფრო მოზრდილი, ჰეტეროგენული კულტურის წარმოქმნის პროცესში.

თანამედროვე სახელმწიფოთა დიდი ნაწილი კულტურულად მრავალფეროვანია. რთულად მოიპოვება ქვეყანა, რომელშიც მინიმუმ ერთი განსხვავებული კულტურის წარმომადგენელი ჯგუფი არ ცხოვრობდეს. მაგრამ, ამავდროულად,

რთულია განსაზღვრო კულტურული მრავალფეროვნება სარგებლის მომტანია საზოგადოებისთვის თუ ზიანის. იგი, ერთმხრივ, მნიშვნელოვან ღირებებულებებს: თავისუფლებას, არჩევანის უფლებას, თანასწორობას უსვამს ხაზს და საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთგაგებას წარმოშობს, თუმცა, მეორე მხრივ, სოციუმში სხვადასხვა ღირებულების მქონე ჯგუფის არსებობა საზოგადოების ერთიანობას ეჭვქვეშ აყენებს. ამიტომ მულტიკულტურალიზმს ყავს როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები. აზრთა ასეთი დაპირისპირება კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ნათლად უსვამს ხაზს საკითხის აქტუალობას.

მულტიკულტურალიზმი პრობლემური საკითხია იმ მხრივაც, რომ შეიძლება ქვეყანაში თანაცხოვრობდნენ განსხვავებული ეთნიკური წარმომადგენლობის, რასის, ღირებულებების მქონე ჯგუფები, თუმცა, ეს ჯგუფები ერთმანეთისგან გაუცხოებული, ერთმანეთის მიმართ ნეგატიურად განწყობილი იყვნენ. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ სახელმწიფოში განსხვავებული კულტურის არსებობა უცხოთა მიმართ მიმღებლობის პოსტულატი სულაც არ არის. ხშირია შემთხვევები, როცა მოსახლეობის არც თუ მცირე ნაწილი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია, თუმცა, არ სარგებლობს იმავე უფლებებით, რითაც უმრავლესობის წევრები. მარტივად რომ ვთქვათ, უმრავლესობა და უმცირესობა არ აღიქმება როგორც თანასწორი. ასეთი საზოგადოება ხასიათდება ეთნოცენტრიზმით, რაც გულისხმობს საკუთარი კულტურის აღმატებულობის პოზიციიდან სხვისი კულტურის შეფასების ტენდენციას.

საინტერესოა რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში: აფასებენ თუ არა ქართელები თავიანთ კულტურას უფრო აღმატებულად უცხო კულტურასთან მიმართებით. ჩვენს მიერ გაკეთებული მონაცემების ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ თუ რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში. სტატიის მიზანია, შევისწავლოთ ხასიათდება თუ არა ქართული საზოგადოება ეთნოცენტრიზმით და ღიაა თუ არა იგი უცხო კულტურის წარმომადგენლებთან მიმართებით.

წარმოდგენილი თეორიული ნაწილიდან იკვეთება, რომ მულტიკულტურალიზმი დადებითი მოვლენაა, რომელიც ხელს უწყობს ჯგუფებს შორის ინტერაქციას, თუმცა, კულტურული მრავალფეროვნება ერთის მხრივ შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს ხალხისთვის, რომელთაც მიმღებლობის დაბალი დონე აქვთ. გამომდინარე იქიდან, რომ ეს თემა ძალიან ფართოა ამიტომ დაწვრილებით ამ საკითხების შესახებ გავამახვილეთ ჩვენი ყურადღება, რათა უკეთესად გააანალიზოს მკითხველმა ის ძირითადი ასპექტები რასაც მულტიკულტურალიზმის ცნება მოიცავს.

მეთოდოლოგია

წარმოდგენილი სტატიის მიზანია წარმოვაჩინეთ საქართველოში გამოკითხული მოსახლეობის დამოკიდებულებები და მიმღებლობის დონე ეთნიკური, რელიგიური და სხვა უმცირესობათა მიმართ.

წარმოდგენილი სტატია ეფუძნება ორი მეთოდის – ლიტერატურის მიმოხილვისა და დოკუმენტების ანალიზის – შედეგად მიღებულ მონაცემთა ანალიზს. ლიტერატურის მიმოხილვის ფარგლებში მოვიძიეთ ლიტერატურა საბიბლიოთეკო და ინტერნეტ ძებნის საშუალებებით. საკვანძო ცნებებად გამოყენებულ იქნა მულტიკულტურალიზმი და ეთნოცენტრიზმი. მოძიებული სამეცნირო ლიტერატურის ანალიზის შედეგად ჩამოვაყალიბეთ შემდეგი **ჰიპოთეზა**: ქართული საზოგადოება ხასიათდება ეთნოცენტრიზმით და განიხილავს საკუთარ კულტურას აღმატებულად სხვების კულტურასთან შედარებით. აღნიშნული ჰიპოთეზა შევამოწმეთ მეორადი დოკუმენტების ანალიზის შედეგად.

იქედან გამომდინარე, რომ რეპრეზენტატული კვლევის ჩატარება დამოუკიდებელი მკვლევარისათვის რთულია ეკონომიკური მიზეზის გამო, მივმართეთ მეორადი მონაცემების ანალიზს, როგორც შედარებით ხელმისაწვდომ და იაფმეთოდს, რომელიც იძლევა მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას. კვლევის ფარგლებში გამოვიყენეთ მეორადი მონაცემების ანალიზი. მეორადი მონაცემები ავიღეთ მსოფლიო ღირებულებათა კვლევის ბაზის 2010-2014 წლის მონაცემები დასაქართველოს მაჩვენებლები შევადარეთ სომხეთისა და აზერბაიჯანის მონაცემებს (World Value Survey, 2014).მსოფლიო ღირებულებათა კვლევა ტილბურგის უნივერსიტეტის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, რომლის მიზანია მსოფლიოს მასშტაბით სხვადსხვა კულტურებში სოციალური, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა ღირებულებების შესწავლა. ითვალისწინებს გამოკითხვებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და წარმოადგენს მნიშვნელოვან მონაცემთა ბაზას მკვლევარებისთვის.

ლიტერატურის მიმოხილვა

ტერმინი მულტიკულტურალიზმი შედარებით ახალია და პირველად 1957 წელს შვედეთში გაჩნდა. მულტიკულტურალიზმი გულისხმობს სოციალურ ინტერაქციას სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წევრებს შორის და მიესალმება ყველა ჯგუფის მონაწილეობასა და წვლილს უფრო მოზრდილი, ჰეტეროგენული კულტურის წარმოქმნის პროცესში. ამ შემთხვევაში კულტურული მრავალფეროვნება პოზიტიურ და სასურველ მოვლენას ნიშნავს. მაგალითისთვის მოვიყვანოთ მულტიკულტურული ამერიკა, მას მოიხსენიებენ, როგორც სასალათეს, რომელშიც ჩაყრილია მრავალი სახის ინგრედიენტი, თუმცა, ამის მიუხედავად, ამერიკაში თითოეული ჯგუფი ინარჩუნებს საკუთარ ინდივიდუალობას და მრავალფეროვნებას.

თუმცა, სახელმწიფოში განსხვავებული კულტურის არსებობა უცხოთა მიმართ მიმღებლობის პოსტულატი სულაც არ არის. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ, საზოგადოება, რომელშიც თანაცხოვრობენ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები, თუმცა უმცირესობა არ სარგებლობს იმავე უფლებით, რითაც უმრავლესობა და უმრავლესობის წევრები საკუთარ კულტურას აღიქვამენ უფრო აღმატებულად უმცირესობის კულტურასთან მიმართებით. ასეთი საზოგადოება ხასიათდება ეთნოცენტრიზმით-„საკუთარი კულტურის აღმატებულობის პოზიციიდან სხვათა კულტურის შეფასების ტენდენციით“. ამერიკელები ისე აღიქვამენ არადასავლური კულტურების აღწერას, თითქოს სათავგადასავლო წიგნებიდან იყოს აღებული. ცხვირში რგოლყარილი ადამიანი, ათი ცოლის პატრონი მამაკაცი, ადამიანის, ქვეწარმავლების ან ლომის გულისაგან დამზადებული კერძები ჩვენთვის „ველურებისთვის“ დამახასიათებელ, არაადამიანურ ჩვევებს წარმოადგენენ. ჩვენ მხოლოდ ცხოვრების დასავლური წესი მიგვაჩნია „სწორ წესად, ხოლო არადასავლური-ბარბაროსული და საკვირველია (Мердок,1965).

სამნერისეული განმარტების მიხედვით, ეთნოცენტრიზმის შემთხვევაში ადამიანს საკუთარი ჯგუფი მიაჩნია ყველაფრის ცენტრად, ხოლო სხვები მის ნაწილებად. აღმატებულობით ტრაბახი და სხვებს აბუჩად აგდება ეთნოცენტრიზმის დამახალიათებელი ნიშნებია. თუმცა, ერთ–ერთმა კვლევამ ეჭვის ქვეშ დააყენა ეთნოცენტრიზმის სამნერისეული განმარტება. მკვლევრებმა ჩაატარეს კვლევა პატარა კუნძულზე, რომლის მცხოვრებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ კუნძულის წარმომადგენლები ამერიკულ კულტურას უფრო მაღალ შეფასებას აძლევდნენ, ვიდრე თავიანთ კულტურას. რაც ეთნოცენტრიზმის საპირისპირო ემპირიული მაგალითია. ამიტომ მკვლევარი მიიჩნევდა, რომ ტერმინის განმარტება გადახედვას მოითხოვდა. თავად მკვლევარს უფრო რელევანტურად ეთნოცენტრიზმის შემდეგი განმარტების გამოყენება მიაჩნდა: „უმეტეს შემთხვევაში ყოველი ჯგუფი ფიქრობს, რომ სხვებზე აღმატებულია.“ ტერმინი მოიცავს გამონაკლის შემთხვევებს და ხაზს უსვამს იმას, რომ ეთნოცენტრიზმი გვხვდება უმრავლეს და არა ყველა შემთხვევაში(Swartz, 2016, pp. 75-76).

იმის მიხედვით თუ რამდენად მძაფრადაა გამოხატული ეთნოცენტრიზმი, გამოიყოფა ეთნოცენტრულობის 3 ძირითადი ფორმა:

- მოქნილი/კეთილგანწყობილი ეთნოცენტრულობა, რომლის დროსაც ვხვდებით საკუთარი კულტურის ობიეტურად შეფასებისა და სხვა კულტურის გაგების მცდელობას;
- საბრძოლო ეთნოცენტრიზმი-გამოტახავს შიშს, სიძულვილს, უნდობლობას სხვა კულტურის წარმომადგენელთა მიმართ;
- დელეგიტიმაცია-ეთნოცენტრიზმის ყველაზე მწვავე ფორმაა და გულისხმობს საკუთარი ჯგუფის გაიდეალებასა და სხვების დამცირებას; (გედევანიშვილი, 2014)

ეთნოცენტრიზმის თავიდან აცილების მიზნით მნიშვნელოვანია ყოველი კულტურა საკუთარ ჭრილში იქნას განხილული. ამ მოსაზრებას კულტურული რელატივიზმი ეწოდა. უილიამ გრემ სამნერი წიგნში: „ხალხური ადათები“ აღნიშნავს: „ყოველი კულტურა შეიძლება მხოლოდ საკუთარ კონტექსტში იქნას გაგებული და ის როგორც ერთიანი და მთლიანი უნდა განიხილებოდეს“. რუთ ბენედიქტმა სრულყო სამნერისეული განმარტება და აღნიშნა, რომ „არც ერთი ღირებულება, რიტუალი ან მოცემული კულტურის სხვა თავისებურებაა არ იქნება სრულყოფილად გაგებული, თუ მას ცალკე განვიხილავთ“(Benedict, 1934). კულტურული რელატივიზმი უცხო კულტურათა გაგებას უწყობს ხელს.
ეთნოცენრიზმის საპირისპირო ტერმინია ეთნორელატიური ინტერკულტურული სენსიტიურობა, რომელიც გულისხმობს კულტურული განსხვავებების მიღებას, ღიაობას უცხო კულტურის მიმართ. ინტერკულტურული სენსიტიურობის მახასიათებელია ინტერკულტურული კომპეტენტურობა, რომელიც განსხვავებული კულტურის წარმომადგენელთა ეფექტურ თანაშმრობლობას უწყობს ხელს.

არსებობს ენთოცენტრიზმისა და ეთნორელატიური ინტერკულტურული სენსიტიურობის მახასიათებლები. ბრევერის და კემპბელის მიხედვით (Brewer M. B., Campbell, D. T. , 1986) ეთნოცენტრიზმის მახასიათებლებია:

- საკუთარი კულტურის ნიშნების, როგორც ჭეშმარიტის, ხოლო სხვა კულტურის ნიშნების, როგორც არასწორის აღქმა;
- საკუთარი კულტურის მახასიათებლების, როგორც უნივერსალურის განხილვა;
- საკუთარი კულტურის წევრების მიმართ დადებითი, ემპათიური დამოკიდებულება, ხოლო სხვა ჯგუფების მიმართ მტრული დამოკიდებულება.

ადრეულ კვლევებში შესწავლილ იქნა ინტერკულტურულ კომპეტენტურობასთან დაკავშირებული სპეციფიკური ქცევები, რომლებიც დამახასიათებელია იმ პიროვნებისთვის, რომლებიც ეფექტურად ცხოვრობენ და მუშაობენ სხვდასხვა კულტურებში.ამ კვლევების თანამხმად (Triandis, 1994),ინტერკულტურულად კომპეტენტურ ადამიანებს აქვთ 3 საერთო თვისება:
1. შეუძლიათ მართონ ფსიქოლოგიურ სტრესი, რომელიც ახლავს ინტერკულტურულ ურთიერთობებს;
2. ადვილად ამყარებენ ურთიერობას სხვა კულტურის წარმომადგენლებთან;
3. შეუძლიათ განავითარონ ახალი და აუცილებელი ინტერპერსონალური ურთიერთობები.

სწორედ ამ ორი კომპონენტის (ეთნოცენტრიზმი და ინტერკულტურული სენსიტიურობა) შეიძლება გაიზრდოს/შემცირდეს მიმღეობა უცხოს მიმართ. ეთნოცენტრიზმის შემცირება და ინტერკულტურული კომპეტენტურობის ზრდა ხელს შეუწყობს უცხო კულტურათა მიღებას/გაგებას. ამრიგად, დამოკიდებულება და მიმღეობა უცხოს მიმართ აქტუალური თემაა და არსებობს ბევრი მოსაზრება ამ თემის გარშემო. იგი აქტუალურია ისეთი მულტიკულტურულისახელმწიფოს შემთხვევაშიც კი, როგორიც ამერიკაა, მაგრამ მიმღეობა და დამოკიდებულება უცხოს მიმართ არა მხოლოდ ამერიკისთვის, არამედ ჩვენი ქვეყნისთვისაც პრობლემატური საკითხია.
საქართველო ეთნიკურად მრავალფეროვანი ქვეყანაა. ჩვენს ქვეყანაში გვხვებიან ეთნიკური სომხები, აზერბაიჯანელები, ქურთები და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ხალხს ამ ჯგუფის წარმომადგენლებთან თანაცხოვრების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, მათ მიმართ მაინც ვლინდება უარყოფითი დამოკიდებულება, რაც განპირობებულია იმით, რომ ქართველების

ნაწილი ეთნოცენტრიზმით ხასიათდება და თავიანთ კულტურას აღმატებულად განიხილავს სხვა კულტურებთან შედარებით.

განხვიხილოთ ერთ-ერთი კვლევა, რომელიც სწორედ ამ მიმართულებით ჩატარდა: კვლევაშეისწავლიდა ინტერკულტურულ კომპეტენტურობას ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტებში (გედევანიშვილი, ლომინაშვილი, ტოროშელიძე, ფოფხაძე, წერეთელი, 2014, გვ. 44-50). კვლევის მიზანი იყო აღნიშნულ ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს შორისურთიერთდამოკიდებულების შესწავლა. კვლევამ აჩვენა, რომ სომეხი სტუდენტების აზრით, სომხები საქართველოში ეთნიკური ნიშნით იჩაგრებიან.განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმესამსახურში აყვანას ეხება, პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, ისინი აცხადებენ, რომ მათი შესაძლებლობებისა და უნარების მიუხედავად „ქართველებს სამსახურში თავიანთი გვარის ადამიანის აყვანა ურჩევნიათ და არა ვიღაც სომეხის“. აღსანიშვანია, რომ ამ მოსაზრებას ქართველი სტუდენტებიც ეთანხმებიან და მიიჩნევენ, რომ სომხები იჩაგრებიან თავიანთი ეროვნების გამო და შედეგად გვარსაც ხშირად იკეთებენ. ქართველი და სომეხი სტუდენტები თანხმდებიან, რომ ქართველებისთვის „სომხობა“ უარყოფითია. რაც შეეხება ქართველების დამოკიდებულებას აზერბაიჯანელებთან მიმართებით, აზერბაიჯანელი სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ქართველები მათ ხშირად თათრებად მოიხსენიებენ, რაც შეურაცხმყოფელი და მიუღებელია. ქართველმა სტუდენტებმა კი აღნიშნეს, რომ სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით ყველაზე პოზიტიური დამოკიდებულება აზერბაიჯანელების მიმართ აქვთ. ისინი მიიჩნევენ, რომ აზერბაიჯანელები მეტ ნდობას იმსახურებენ ურთიერთობებში, ვიდრე სომხები. თუმცა, ქართველი სტუდენტებისაზრით, საერთო ჯამში, ქართველები არც ერთ ეთნიკურ უმცირესობასთან არ არიან სათანადოდ ინტეგრირებულნი. რაც შეეხება უშუალოდ სტუდენტთა შორის დამოკიდებულებებს, კვლევამ აჩვენა, რომ ქართველი სტუდენტები არ ინტერესდებიან აზერბაიჯანელთა კულტურულ-რელიგიური თავისებურებებით, არ ცდილობენ მათთან ურთიერთობის დამყარებას, ისინი უფრო აზერბაიჯანელების ასიმილაციას მოითხოვენ. მსგავსი დამოკიდებულება აქვთ სომეხ სტუდენტებთან მიმართებით, მიუხედავად ისტორიული სიახლოვისა, არ იცნობენ სომხულ კულტურას და არც სომეხ სტუდენტებთან ურთიერთობის სურვილს გამოხატავენ (გედევანიშვილი, ლომინაშვილი, ტოროშელიძე, ფოფხაძე, წერეთელი, 2014, გვ. 44-50).

ეთნოცენტრისტული ტენდენციები საქართველოში

ჩვენ მიერ გაანალიზებული პირველი კითხვა ეხებოდა ოჯახიდან მიმტევებლობისა და პატივისცემის შეთვისებას. როგორც ვიცით, ოჯახი სოციალიზაციის ძირითადი აგენტია. ბავშვი სწორედ ოჯახიდან ითვისებს იმ ძირითად ნორმებსა და ღირებულებებს, რომელთა ჭრილშიც აანალიზებს მოვლენებს. სწორედ ამიტომ, გავაანალიზეთ შემდეგი შეკითხვა – „მნიშვნელოვანია ბავშვმა ოჯახიდან შეითვისოს მიმტევებლობა და სხვაადამიანისპატივისცემა?“ კითხვა განვიხილეთ სქესთან მიმართებით. დაფიქსირდა მცირე, თუმცა, მაინც საგულისხმო პროცენტული სხვაობა ქალისა და მამაკაცის მოსაზრებებეს შორის. ქალების 70,3%, ხოლო მამაკაცების 64% მიიჩნევს, რომ ბავშვმა ოჯახიდან უნდა შეითვისოსმიმტევებლობა დასხვა ადამიანისპატივისცემა.

გრაფიკი #1: მნიშვნელოვანია ბავშვმა ოჯახიდან შეითვისოს მიმტევებლობა და სხვა ადამიანის პატივისცემა. (%) (N= 1202)



ანალიზისათვის შევარჩიეთ შეკითხვა, რომელიც ეხება გარკვეული ჯგუფის წევრების მიმღებლობას დიდ ჯგუფებში. როგორც ვიცით, მიმღეობა იზომება სიახლოვის სხვადასხვა სკალით, ჩვენ კი ყველაზე უფრო დისტანციური სოციალური ურთიერთობა – მეზობლობა – შევარჩიეთ. კითხვაზე "ისურვებდით თუ არა სხვა რელიგიის წარმომადგენელს თქვენს მეზობლად" გამოკითხული მოსახლეობის 63,6% აღნიშნა, რომ ისურვებდა სხვა რელიგიის წარმომადგენელს მეზობლად. როგორც ჩანს, ჩვენ ქვეყანაში მაღალია სხვა რელიგიის ადამიანის მიმღებლობა.

გრაფიკი #2: ვისურვებდი თუ არა სხვა რელიგიის წამომადგენელს ჩემს მეზობლად. (%) (N=1202)



ასაკთან მიმართებაში გამოიკვეთა მცირე, თუმცა, საგულისხმო სხვაობა. ყველაზე მეტად მიმღებლობის დონით გამოირჩეოდნენ 29 წლამდე ასაკის წარმომადგენლები (72,1%), შემდგომ 30–49 წლამდე მოსახლეობა 68,8%, ხოლო 50 წლიდან ზემოთ მოსახლეობის 62,6% ისურვებდა მეზობლად სხვა რელიგიის წარმომადგენელს.

გრაფიკი #3: ვისურვებდი თუ არა სხვა რელიგიის წამომადგენელს ჩემს მეზობლად (%) (N=1202)



რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მიმართ არსებული დამოკიდებულებების განსხვავების გამოსავლენად, გავაანალიზეთ კითხვა: „ისურვებდით თუ არა სხვა ეროვნების წარმომადგენელს თქვენს მეზობლად.“ ამ მხრივ საქართველოს წარმომადგენლებმა დააფიქსირეს მაღალი მაჩვენებელი (79,8%). რაც, ალბათ, იმითაა განპირობებული, რომ საქართველო მულტიეთნიკური ქვეყანაა. ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა და იმ ფაქტით, რომ საქართველოში საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები მკვიდრობდნენ და მშვიდობიანად ახერხებდნენ თანაცხოვრებას. კვლევის შედეგებით გამოიკვეთა, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაში უფრო მაღალია მიმღებლობა სხვა ეთნიკური უმცირესობების მიმარ, ვიდრე რელიგიური უმცირესობების მიმართ, თუმცა ორივე უმცირესობათა ჯგუფის მიმართ მიმღებლობა პოზიტიურია.

გრაფიკი #4: ისურვებდით თუ არა სხვა ეროვნების წარმომადგენელს თქვენს მეზობლად? (%) (N=1202)



უმცირესობათა სხვა ჯგუფის – რადიკალური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულების გასაზომად გავაანალიზეთ ასევე დისტანციური სოციალური სასურველობის შესახებ კითხვა და ეს მონაცემი შევადარეთ ჩვენს მეზობელ ქვეყნების – სომხეთისა და აზერბაიჯანის – მონაცემებს. რასობრივი უმცირესობების მიმართ ყველაზე დაბალი მიმღებლობა, აზერბაიჯანის მოსახლეობამ დააფიქსირა, მაშინ როდესაც საქათველოს და სომხეთს თითქმის მსგავსი მონაცემები აქვს (იხ. გრაფიკი #5).

გრაფიკი #5 ისურვებდით თუ არა სხვა რასის წარმომადგენელს თქვენს მეზობლად? (%)



მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რასობრივი უმცირესობებთან თანაცხოვრების დიდი გამოცდილება არ აქვს, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ქართველები რასობრივი უმცირესობების მიმართ უფრო მიმღებლები არიან, ვიდრე რელიგიური უმცირესობების მიმართ მაღინ როდესაც ეთნიკური უმცირესობების მიმართ განწყობა ყველაზე უფრო პოზიტიურია.

რელიგიური უმცირესობების მიმართ შედარებით ნეგატიური განწყობების გამოვლენის გამო, უფრო სიღრმისეულად შევისწავლეთ ეს საკითხი და შევისწავლეთ დათანხმების მაჩვენებელი დებულებაზე „სრულიად არ ვენდობი სხვა რელიგიის წარმომადგენლებს“ (იხ. გრაფიკი #6). აღმოჩნდა, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის სხვა რელიგიის წარმომადგენლებს ყველაზე მეტად არ ენდობიან სომხები (48.1%), შემდგომ აზერბაიჯანელენი (35.2%). მიუხედავად იმისა, რომ ქართველები რასობრივ და ეთნიკურ უმცირესობებზე მეტად ჩაკეტილნი რელიგიური უმიცრესობების მიმართ არიან, ეს არ გამოიხატება მათ მიმართ უნდობლობაში (რასაც გამოკითხუთა მხოლოდ 15.7% ავლენს. სხვა რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანების მიმათ სომხეთში დაფიქსირებული მაღალი უნდობლობა შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ სომხეთი აღნიშნულ ქვეყნებს შორის (და არა მარტო) ყველაზე რელიგიური ქვეყანაა. ამ მოსაზრების დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ “გალაპის“ ცნობილი კვლევა, რომლის მიხედვითაც სომხეთი ყველაზე რელიგიურ ქვეყნებს შორის მეორე ადგილზეა (სინგაპურის შემდეგ) (Gullap,2012). ზოგადად, თითოეული რელიგია ადამიანს გარკვეულ ღირებულებებს, სამყაროსადმი გარკვეულ ხედვას სთავაზობს, რომელიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სხვა რელიგის მრწამსს/სხვა რელიგიის წარმომადგენელთა შეხედულებს. რწმენას შორის განსხვავება კი შესაძლოა ნდობის ხარიხსში აისახებოდეს.

გრაფიკი #6: სრულიად არ ვენდობი სხვა რელიგიის წარმომადგენლებს. (%)



ასევე დავინტერესდით რა შედეგს მოგვცემდა იგივე კითხვა რელიგიის ცვლადის ეროვნების ცვლადით ჩანაცვლების შემთხვევაში. მოსაზრებაზე: „სრულიად არ ვენდობი სხვა ეროვნების წარმომადგენლებს“ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის უფრო მეტი დადებითი პასუხი გასცეს აზერბაიჯანელებმა. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შემთხვევაში აზერბაიჯანის და სომხეთის პროცენტული მაჩვენებლები ერთმანეთს უახლოვდება. შესაძლოა, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა სხვა ეროვნების წარმომადგენლებში უპირველესად მეზობელი ქვეყნები/ერთმანეთი იგულისხმეს და ამ ორ ქვეყანას შორის არსებული კონფლიქტის ფონზე გამოავლინეს სხვა ეროვნების ადამიანების მიმართ მაღალი უნდობლობა.

გრაფიკი #7: სრულიად არ ვენდობი სხვა ეროვნების წარმომადგენლებს. (%)



საქართველოში სხვა ეროვნების ადამიანების მიმართაც ნდობის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა

(88.8%), რაც შერადებით მაღალი მაჩვენებელია, ვიდრე სხვა რელიგიური აღმსარებლობის მქონე ადამიანებთან მიმართებაში დაფიქსირდა. ეს მონაცემები კი ამყარებს ზემოთ წარმოდგენილ დასკვნას, რელიგიური მაჩვენებლის უფრო სესნსიტიურობის შესახებ ქართულ საზოგადოებაში. ამიტომ კვლავ ჩავუღრმავდით რელიგიის საკითხს და შევისწავლეთ შემდეგ დებულებაზე დათანხმების მაჩვენებელი ქართულ საზოგადოებაში: „სხვა რელიგიის წარმომადგენლები, ალბათ, ისეთივე მორალურები არიან, როგორც ჩემი რელიგიის მიმდევრები“ კვლევის შედეგად ჩანს, რომ რესპონდენტთა სოლიდური ნაწილი (11.3%), აღნიშნულ საკითხზე პასუხს ვერ სცემს. სხვა რელიგიის წარმომადგენელთა მორალურობაში ეჭვი მხოლოდ გამოკითხულთა მეხუთედზე ნაკლებს (18.4%–ს) ეპარება. რაც მიუთითებს, იმაზე, რომ ქართველების იმ ნაწილს, რომელსაც ქონია შეხება სხვა აღმსარებლობის მქონე პირებთან (ანუ არ უჭირს პასუხის გაცემა), მათ შესახებ არ აქვთ წინასწარ შექმნილი მცდარი აზრი.

გრაფიკი #8: სხვა რელიგიის წარმომადგენლები, ალბათ, ისეთივე მორალურები არიან, როგორც ჩემი რელიგიის მიმდევრები. (%) (N=1202)



ზოგადად სხვა კულტურის წარმომადგენელთა მიმართ დამოკიდებულება განისაზღვრება არა მხოლოდ მათ შესახებ არსებული მოსაზრებებით, არამედ ქცევით/რესურესების გადანაწილების მიხედვითაც. ამ მხრივ, საინტერესო იყო, განგვეხილა მზად არიან თუ არა ქართველები გაუნაწილონ სამუშაო ადგილები სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ პირებს – ემიგრანტებს. შეკითხვაზე: „როდესაც სამუშაო ადგილები არასაკმარისია, ქართველებს ემიგრანტებთან შედარებით უპირატესობა უნდა მიენიჭოთ,“ ქართველთა უმეტესობამ დადებითი პასუხი გასცა. როგორც ჩანს, ქართველები სხვა ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ საკმაოდ დადებითი დამოკიდებულების მიუხედავად, ამ ჯგუფებისთვის რესურსების გადანაწილებისთვის მზად არ არიან. შეკითხვა განვიხილეთ ასაკის ჭრილშიც, მნიშვნელოვანი განსხვება, ამ მხრივ, არ დაფიქსირებულა, თუმცა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ შრომითი რესურსების გადანაწილებას ყველაზე მეტად ეწინააღმდეგება 50-ზე მეტი და 30-49 წლამდე ასაკის კატეგორია. რაც გასაკვირი არ არის იმ მხრივ, რომ ამ ასაკობრივ ჯგუფებისათვის უფრო რთულია სამუშაო ადგილების

დაკავება, ისევე როგორც მათ ნაკლებად აქვთ ემიგრანტებთან ურთიერთობის გამოცდილება. გარდა ამისა, ახალგზარდები შუა ხნის და ასაკოვანი ადამიანებისგან გამსხვავებით უფრო ლიბერალური დამოკიდებულებებით გამოირჩევიან.

იმისს გასაანალიზებლად, რესურსების განაწილებაზე უარის თქმა მხოლოდ საქართველოს პირობებში გვხვდება თუ ზოგადად ახასიათებს ქვეყნებს, იგივე კითხვა გავაანალიზეთემიგრაციის უფრო ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქვეყნებში – კერძოდ, საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. პასუხების ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოს მსგავსად საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში კრიტიკულად არიან განწყობილი რესურსების გადანაწილების საკითხის მიმართ. ფრანგების 52% და ამერიკელების 50% ეთანხმება მოცემულ შეკითხვას, რაც განვითარებული ქვეყნების ფონზე საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

გრაფიკი #9: როდესაც სამუშაო ადგილები არასაკმარისია, ქართველებს ემიგრანტებთან შედარებით უპირატესობა უნდა მიენიჭოთ (%) (N=1202).



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული მონაცემები ეხმიანება ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტებზე ჩატარებულ კვლევას (გედევანიშვილი, ლომინაშვილი, ტოროშელიძე, ფოფხაძე, წერეთელი, 2014), რომლის მიხედვითაცსაქართველოს შრომის ბაზარზე ფიქსირდება სომეხთა დისკრიმინაცია. სომეხი სტუდენტების აზრით, მათი უნარების და ცოდნის მიუხედავად ქართველები სამსახურში აყვანისას უპირატესობას ქართველებს ანიჭებენ.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტებთან ჩატარებული კვლევის შედეგები განსხვავდება მსოფლიო ღირებულებათა კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებისგან. სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტები საყვედურობენ ქართველებს თავიანთი კულტურისა და რელიგიური თავისებურებების არცოდნისა და მათთან კომუნიკაციის სურვილის არქონის გამო. მაშინ, როდესაც შემდეგ კითხვაზე პასუხი- ვისურვებდი თუ არა სხვა რელიგიის

წამომადგენელს ჩემ მეზობლად (იხილეთ გრაფიკი #2) საპირისპიროზე მეტყველებს. ქართველი მოსახლეობის 63,6% ისურვებდა სხვა რელიგიის წარმომადგენელს მეზობლად. ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგები გამოვლინდა ნდობის შემთხვევაშიც, მსოფლიო ღირებულებათა კვლევის შედეგების მიხედვით, ქართველები, ძირითადად, ენდობიან სხვა კულტურის წარმომადგენლებს (იხილეთ გრაფიკი #6), ხოლო ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტებზე ჩატარებული კვლევის მიხედვით,ქართველი სტუდენტები არ ენდობიან უცხო კულტურის წარმომადგენლებს (განსაკუთრებით სომხებს).

ამრიგად, აშკარაა წინააღმდეგობა ჩვენ მიერ მსოფლიო ღირებულებათა კვლევის შედეგებზე დაყრდნობით განხორციელებულ მეორეული მონაცემების ანალიზსა და „ინტერკულტურული კომპეტენტურობა და ეთნოცენტრულობა საქართველოში მცხოვრებ ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ ახალგაზრდებში“ კვლევის შედეგებს შორის. ჩვენი მიერ განხორციელებული მეორეული მონაცემების ანალიზიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ საქართველო სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ყველაზე მეტად ავლენს მიმღეობას უცხო კულტურის მიმართ. მეორეული მონაცემების შედეგები ეწინააღმდგება ჰიპოთეზას და არ აფიქსრებს ეთნოცენტრულობის ნიშნებს ქართულ საზოგადოებაში, პირიქით, პოზიტიურ შედეგებს იძლევა ამ მხრივ. მაგრამ საპირისპიროს აჩვენებს სტუდენტებზე ჩატარებული კვლევა, რაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს საკითხის აქტულობას და იმას, რომ საჭიროა სიღრმისეული კვლევა ამ თემის გარშემო.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მულტიკულტურალიზმი ადამიანთა, ჯგუფთა და სახელმწიფოთა შორის ჰარმონიული ურთიერთობების წინაპირობაა. მაშასადამე, მულტიკულტურალიზმის უმთავრესსიძლიერესსწორედ მდიდარიდამრავალფეროვანი, ღიასამოქალაქოსაზოგადოებისარსებობაგანაპირობებსდა მულტიკულტურალიზმი ხელს უწყობს ურთიერთობათა გაღრმავებას სხვადასხვა საციალურ ჯგუფებს შორის.

მეორადი დოკუმენტების ანალიზის შედეგად საქართველოში გამოვლინდა ეთნოცენტრიზმის დაბალი დონე და მიმღებლობა „უცხოს“ მიმართ, რაც თავისთავად დადებითი ტენდენციაა, რადგან ეთნოცენტრიზმი მულტიკულტურალიზმის განვითარებას აფერხებს.

ჩვენ გავაანალიზეთ მიმღებლობის დონე სხვა ეროვნების, რელიგიის წარმომადგენლის თუ განსხვავებული რასის მიმართ. როგორც გამოიკვეთა კარგი დამოკიდებულებები და მიმღებლობა უფრო მეტად სხვა ერის წარმომადგენელის მიმართ გამოჩნდა, რომელსაც მოსდევს სხვა რასის და ბოლოს რელიგიური აღმსარებლობის პირები. მულტიკულტურალიზმის დონე მაღალია განწყობებსა და დამოკიდებულებებში, თუმცა რესურსების განაწილების კუთხით, საქართველოს მოქალაქეები რადიკალურად იცვლიან პოზიციას. ისინი, ასე, რომ ვთქვათ, არ არიან მზად, რომ „საკუთარი“ რესურსები სხვა სოციალური ჯგუფის წევრებს გაუნაწილონ. რესურსების განაწილების მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ დასავლური ქვეყნებისგან საქართველო დიდად არ განსხვავდება, რადგან დასავლურ ქვეყნებშიც დაბალი მაჩვენებლებია რესურსების განაწილების მხრივ.

ბიბლიოგრაფია:

Benedict, R. (1934). *Patterns of Culture.*

Brewer M. B., Campbell, D. T. . (1986). *Ethnocentrism and intergroup attitudes: East African evidence .* N.Y.

Sumner, W. G. (1906).

Swartz, M. J. (2016). *Negative Ethnocentrism.* Sage Publications.

Triandis, H. C. (1994). *Culture and Social Behavior.* New York: Mcgraw-Hill.

გედევანიშვილი, ლომინაშვილი, ტოროშელიძე, ფოფხაძე, წერეთელი. (2014). *ინტერკულტურულიკომპეტენტურობაქართველ, სომეხდაازერბაიჯანელახალგაზრდებში.*